ოქმი:**ო63. 6326033001**
თარიღი:**02/02/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N1

სამტრედია 28 იანვარი, 2026 წელი**.**

2026 წლის წლის 28 იანვარს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: მერაბ უღრელიძე, თენგიზ ცაგურია, გიორგი გაგუა, ემზარ კრავეიშვილი, მიხეილ კვანტალიანი, მანანა სირბილაძე, შალვა მეფარიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურისა და საინვესტიციო, საგრანტო პროექტების მომზადებისა და განხორციელების საკითხებში უფროსი სპეციალისტი, სერგო კოპალეიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის*** 2026 წლის 26 იანვრის N 62-62226026126 წერილობითი მომართვის შესახებ

/მომხსენებელი: მერაბ უღრელიძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (7 ხმით) დამტკიცებული იქნა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. <u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 იანვრის*** N62-6226026126 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე **652.00 კვ.მ** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 265.58 კვ.მ. I-ლი სართული 122.44 კვ.მ, მე-II სართული 143.14 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.1115, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრისთვის“** (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773608) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკიკთხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773608) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე 652.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და №1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი 265.58 კვ.მ. I-ლი სართული 122.44 კვ.მ, მე-II სართული 143.14 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.1115.

- ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრს“, ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე 652.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და №1 შენობა-ნაგებობა უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773608) არსებობის ვადით.

  ასევე აღინიშნა, რომ ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის'' მისამართად განსაზღვრულია სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N1გ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 7-მა წევრმა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (7 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ბეჟან გოგია/

სხდომის თავმჯდომარე: /მერაბ უღრელიძე/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი